ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 178

პარასკევი, 20 აგვისტო, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 178

პარასკევი, 20 აგვისტო, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა"

ამით აცხადებს, რომ ვისაც **სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლის ადგილის დაჭერა სურს** (ოთხი ადგილია), იმან უნდა 25 აგვისტომდე წარუდგინოს სკოლის გამგეს თ. მთავრიშვილს ქ. ქუთაისში მოწმობა, თუ სად მიუღია სწავლა და სად უმსახურნია.

თხოვნების შეტანა მოსწავლეების მისაღებად შეიძლება 26 აგვისტოდან 31-ამდის. განმეორებითი ეგზამენებიც ამ დროს მოხდება. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (3—უ.—3)

ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა

სთხოვს იმათ, რომელთაც სურვილი გამოაცხადეს გამოსაცდელ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისა, მობრძანდნენ ქართულ თეატრში 29 ამა აგვისტოს, როდესაც მათ დაურიგდებათ როლები და ამავე დღიდგან დაინიშნება რეპეტიციები.

(5—უ.—2)

გამოფენა-კონკურსი
ქ. ოზურგეთში

ქუთაისის გუბერნიის მეფუტკრეთა გასამხნევებლად და დასაჯილდოვებლად, რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება, სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კავკასიის მთავარ-მართებელთან შეთანხმებით, ქ. ოზურგეთში საქალაქო ბაღში, 26 აგვისტოდგან გამართავს მეფუტკრეთა ნაწარმოების გამოფენას.

გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყველა მეფუტკრეს, როგორც კერძო კაცთ, აგრეთვე დაწესებულებათ, საზოგადოებათა და ამხანაგობათა.

დანიშნულ დღისათვის მეფუტკრენი, რომელთაც სურთ გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ, წარმოადგენენ ზემო-აღნიშნულ ადგილას ფუტკრის ყოველგვარ ნაწარმოებს, მაგალითად: თაფლს, სანთელს, კრიპუჯს, თაფლიდგან გაკეთებულ სასმელებს, აგრეთვე ბუკებს (სკას), ფუტკარს და ყოველგვარ იარაღს, რომელსაც მეფუტკრენი ხმარობენ. ამასთანავე სასურველია წარმოადგინონ იმ მცენარეთა ყვავილი და თესლი, რომლებითაც ფუტკარი იკვებება.

საუკეთესო ნაწარმოებისათვის განყოფილება მწარმოებელთ დაასაჩუქრებს მედლებით, დიპლომებით და სხვა-და-სხვა იარაღის ჩუქებით.

სხვათა შორის, მსურველთ შეუძლიანთ გამოფენაზედ წარმოადგინონ ბაღოსნობის ნაწარმოები: მსხალი, ვაშლი, ატამი, ქლიავი, ლეღვი, შვინდი, ყურძენი, ნიგოზი (კაკალი), თხილი, ნესვი, საზამთრო და სხვა-და-სხვა ბოსტნეულობა და თესლეულობა.

გამოფენის დროს გაიმართება საუბარი სხვა-და-სხვა საგნების შესახებ: რიგიანის მეფუტკრეობისა, მეაბრეშუმეობისა და ბაღოსნობისა.

(3—ნ.—1).

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^{1}/_{2}$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ზ. ა. ნავასარდიანი $7^{1}/_{2}$—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძა: კოლეჟსკი ასესორობა ტიტულიარნი სოვეტნიკს კიზილ-იმანის საბაჟოს მმართველს ბედელაძეს.

დანიშნულ იქმნა: ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს საგანგებო მინდობილებათა მოხელე კოლეჟსკი ასესორი მაჩაბელი იმ სამეგრელოს სიგელების შედგენისა და გაცემის მუშაობათა უფროს მოხელედ, რომელიც სახელმწიფო გლეხებს ეძლევათ.

◆

ახალი ამბავი

—

⁂ როგორც ამ დღეებში მოხსენებული გვქონდა, 26 აგვისტოს ქ. ოზურგეთში გაიმართება მეფუტკრეობის გამოფენა. დაწვრილებითი ცნობები ამ გამოფენის შესახებ მოთავსებულია დღეს ჩვენის გაზეთის განცხადებაში.

⁂ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი დ. ტ. ს. ა. ს. ერმოლოვი ჩამოვა კავკასიაში 8 სექტემბერს. მინისტრი თავდაპირველად მადნეულ წყლებს დაათვალიერებს, იქიდგან გაემგზავრება სოხუმს, სოხუმიდგან წამოვა ტფილისში და ბოლოს ბაქოში გაემგზავრება.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განზრახვა აქვს მონაწილეობა მიიღოს რძის ნაწარმოებთა გამოფენაში, რომელიც პეტერბურგში გაიმართება.

⁂ დღემდე ქალაქის გამგეობას ათამდე სხვა-და-სხვა ფირმა და ამხანაგობა შეჰკითხებია ტფილისის ცხენის რკინის გზის წარმოების კონცესიის შესახებ.

⁂ დღეს, 20 აგვისტოს, მოხდება ტფილისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს სხდომა, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქმნება შემდეგი საქმეები: 1) ქ. გორის 1899 წლის შემოსავალგასავლის აღრიცხვა; 2) ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება სოფლის ნაწარმოებთა ეტლების დაყენების გარდასახადის შესახებ; 3) თელავის ქალაქის რწმუნებულთა კრების დადგენილება ქალაქის მამასახლისის თანაშემწის მოვალეობათა განსაზღვრის შესახებ; 4) ბ-ნის ვასილიევის საჩივარი ტფილისის ქალაქის საბჭოს იმ დადგენილებაზედ, რომელიც დაფასების გარდასახადის აკრებას შეეხება; 5) დუშეთის ქალაქის გამგეობის თანამდებობის კაცთა არჩევნების საქმე; 6) საჩივარი ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის თანამდებობის კაცთა არჩევნებზედ, და 7) ტფილისის ტრაქტირების და სასმელების დუქნების პატრონთა საჩივარი ტფილისის ქალაქის საბჭოს იმ დადგენილებაზედ, რომლის ძალითაც ამ წლის სატრაქტირო გარდასახადის საზოგადო რაოდენობა არ იქმნა შემცირებული.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1-ლ განყოფილების სესსია ქ. გორში დაიწყება 6 სექტემბრიდგან და გასტანს 16 სექტემბრამდე. განსახილველად დანიშნულია 60-მდე სისხლის სამართლის საქმე.

⁂ ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დირექტორი აცხადებს, რომ სწავლის ფული ამ სასწავლებელში მომატებული და დადგენილია: მოსამზადებელ კლასებში—40 მანეთიდგან 50—მდე, დანარჩენ კლასებში 40—დგან 60 მანეთამდე წელიწადში.

⁂ კავკასიის მთავარმართებლის კანცელარია და სამხედრო საერო

ფელეტონი

—

ქვეყნის ნუგეში

(სცენა)

(დასასრული *)

გამოსვლა მეოთხე

იგინივე გარსევანი და ფროსიკო.

გარსევან. მართლა ჩამოვიდა ზურაბი? აბა მიჩვენეთ, სად არის?

თეკლე. სუ, გარსევან, შენ გენაცვალე, სუ... სძინავს.

გარსევან. ძლივს, ძლივს, გვეშველა!.. ურა! ურა! დოხტური მოგვივიდა!

თეკლე. გარსევან, ნუ ჰყვირი, შენს ღმერთს მიამადლე, ბავშვი დაღლილია...

გარსევან. ეჰ, ერთი შენც მოჰყვები რაღაცებს! რას ჰქვიან დაღლილია! ეხლავ ავაგდებ საწოლიდგან! რამდენი ხანია არ მინახავს! (მიდის ზურაბის კარებისაკენ და ჰყვირის) ეი, ეი, ზურაბ, ადექი, თორემ ცივ წყალს გადაგასხამ!

თეკლე. (მისდევს უკან და ტანისამოსს სწევს) ვუი, დამიდგეს თვალები, გამოაღვიძა ბავშვი!.. (დაბალის ხმით) გარსევან, შენ გენაცვალე, ფარსადანის ვალისა ზურაბს ჯერ არაფერი უთხრა,—ბავშვია, გული გაუსკდება!..

გარსევან. ჰო, კარგი, არ ვეტყვი, ოღონდ გამიშვი... (შევარდება ზურაბის ოთახში).

გამოსვლა მეხუთე

იგინივე გარსევანს გარდა.

თეკლე. (მოეხვევა და ჰკოცნის ფროსიკოს) შენ გენაცვალოს თეკლე, მოგივიდა შენი სასოება ზურაბი.

ათინა. (ხელებს უკოცნის) შენ შემოგევლოს ჩემი თავი, ჩემო დამტირებელო, ჩემო ნუკეშო...

თეკლე. ეგრე გაფითრებული რათა ხარ, გენაცვალოს ჩემი თავი? უთუოდ ნამეტანმა სიხარულმა გაგიტაცა.

ფროსიკო. მე თვითონ არ ვიცი, ღმერთმანი, რა მემართება... ვგონებ ნამეტანმა სიხარულმა შემისწრო...

ათინა. (გულზე მიადებს ყურს) ვუი, დამიდგეს თვალები, როგორი ბრაგაბრუგი გააქვს გულს! თითქოს საცეხველი სცემსო! დამშვიდდი, გენაცვალე, გულს ნუ გაიხეთქ, ეხლავ გამოვა შენი ზურაბი...

ფროსიკო. ოჰ, რომ არ შემიძლიან დამშვიდება, რა უნდა ვქნა!

კვირიკა. ეგრე იცის ნამეტანმა სიხარულმა .. ახალგაზდა გული სხვა რამ არის... ეჰ, ვისაც არ გამოუცდია ეგ ახალგაზდობა... მე კი გამომიცდია... კარგად მახსოვს (ათინას) გახსოვს, დედაკაცო? ხე-ხე-ხე...

თეკლე. კარგი, კვირიკა, ნუ მოყვები ეხლა ზღაპრებს... ზურაბი ეხლავ ადგება და პირ-საბანი წყალი უნდა მოუმზადოთ... ამ შეჩვენებულმა ტასიკომ ოთახიც დაუგველი დასტოვა (ჰგვის ოთახს).

კვირიკა. ეხლავ, ქალბატონო, ეხლავ მივართმევ ზურაბს პირ საბანს წყალს! (გადის).

ათინა. (უკან დაედევნება) უკაცრავად, ვერ მოგართვი, მე თვითონ შევუტან წყალს ჩემს გაზრდილს... (კვირიკას დოქი და ტაშტი შემოაქვს; უკან მისდევენ ათინა და ტასიკო).

გამოსვლა მეექვსე

იგინივე და ტასიკო.

ტასიკო. (უნდა წაართვას კვირიკას დოქი) არ დაგანებებ, კვირიკა, მე უნდა დავაბანინო დოხტურს პირი...

ათინა. ორივეს ბრანწი! მე შეუტან წყალს ჩემს გაზრდილს...

კვირიკა. (შეუტევს ორივეს) დაიკარგეთ-მეთქი, თორემ მე ვიცი თქვენ დღეს!

ტასიკო. (გამოსტაცებს ხელიდგან დოქს) არ დაგანებებ, რა გინდა! მე მარტო დოქს წამოვიღებ, შენ ტაშტი წამოიღე...

ათინა. მაშ მე საპონს წამოვიღებ... (აიღებს საპონს).

თეკლე. გენაცვალეთ, მე პირსახოცი მაინც წამომაღებინეთ... (აიღებს პირსახოცს).

ფროსიკო. (ხარხარებს) აი, ნამდვილი კომედია თუ გინდათ, ეს არის! მე რაღა წამოვიღო?

თეკლე. შენ არაფერი, შენ გენაცვალე, შენ ბატონი ხარ... შენ აქ დაბძანდი... დავაბანინებთ ლამაზად ზურაბს პირს და აქ გამოვიყვანთ... (ფროსიკოს გარდა ყველანი შედიან ზურაბის ოთახში).

ფროსიკო. (მარტო) ღმერთო ჩემო, ეს რა მემართება! ისეთი ბრაგაბრუგი გააქვს ჩემს გულს, რომ ერთს ვერსტზედ გაიგონებს კაცი... მიხარიან და თანაც მრცხვენიან ზურაბის ნახვა... სამი წელიწადია ერთმანეთი არ გვინახავს... რაც მესამე კურსზე გარდავიდა, ვერ მოიცალა რუსეთიდგან ჩამოსასვლელად; მართალია, ტკბილს წერილებს ხშირად მწერდა და განმიზიარებდა სიხარულსაც და სევდასაც, მაგრამ ვინ იცის, რა აქვს გულში, როგორ გამოიყურება ამ სამი წლის უნახაობის შემდეგ... თვალი რომ თვალს მოშორდება, გულიც გარდასხვაფერდებაო, ნათქვამია, მაგრამ ეგ რა საფიქრალია! განა ჭეშმარიტი, აზროვანი სიყვარული ისეთი სულ-მოკლე რამ არის, რომ დროებითი უნახაობას ვერ აატანინებს ადამიანს! ნეტავი მე და ზურაბს რაზე გვექნება ლაპარაკი უწინარეს ყოვლისა, როდესაც მისალმების შემდეგ გულს დავიწყნარებთ? ოოო, მე-კი მაქს სათქმელი: ამაყად მიუთითებ ჩვენს სკოლაზე და ვეტყვი: აი, ჩემო ზურაბ, ნაყოფი ჩემი და გარსევანის სამის წლის დაუღალავის შრომისა! ვიცი, ზურაბი აღფრთოვანებულად ტაშს დამიკრავს და მეტყვის: „ბარაქალა, ბარაქალა, ქალო, რომ მიგიგნია კეთილი საქმისთვის და ტყვილად არ დაგიკარგავს დრო!" (მიაყურებს) სუ! სუ! ვგონებ, მოდიან... (გაფაციცებით დადის სცენაზე) ნეტავი

---

*) იხ. „ივერია" № 177.

სამმართველო, როგორც ისმის, 25 აგვისტოს გადმოვა კოჯორიდგან ტფილისში.

⁂ სენატმა განმარტა, რომ მევენახეთა შეღავათი საკუთარ ბაღის ღვინის უპატენტოდ გაყიდვის შესახებ განსაზღვრულია სააქციზო წესდების შემდეგის შენიშვნით: „მევენახეთ შეუძლიანთ გაყიდონ საკუთარ ბაღის ღვინოები მხოლოდ ბაღებთან, ბაზრებში და ნავთ-სადგურებში." ამ გვარად, დაქირავებულს სახლებში მევენახედაგან ღვინოების გასასყიდად სავალდებულოა სავაჭრო მოწმობის აღება.

⁂ რადგან რკინის გზის მატარებლის მგზავრებს, განსაკუთრებით-კი მე-III კლასისას, დიდ შეწუხებას აყენებს ღამით სამგზავრო ბილეთების შემოწმება, ამის გამო „ჩერნ. ვ."-ის სიტყვით, განზრახვა ჰქონიათ დააწესონ ბილეთების ტალონის მოგლეჯა მგზავრთაგან მატარებელში ადგილის დაჭერის დროს, რის შემდეგ ღამით ბილეთების შემოწმების ნაცვლად დათვლილ იქმნება ეს ტალონები, რომლებიც თითოეულ ვაგონის კონდუქტორს ექნება შენახული, და ამასთან დათვლილ იქმნება მგზავრთაგან დაჭერილი ადგილებიც ბილეთების მოუთხოვნელად.

⁂ „ახ. მიმ."-ს დ. ხონიდგან აუწყებენ, რომ 16 აგვისტოს ღამით სოფ. კარჩხაბში (ხონიდგან 2 ვერსის სიშორეზედ) დაიწვა თავ. კ. დ. წულუკიძის ვეებერთელა სახლი. ზარალი აღემატება რამდენსამე ათი ათას მანეთს. დაიწვა მეტად საყურადღებო წიგნთ-საცავი კნეინა ს. ა. წულუკიძისა და აუარებელი ძვირფასი საარქეოლოგიო ნივთები. ამბობენ, რომ სახლს ცეცხლი წაუკიდეს სენაკის მაზრის, სოფ. ბანძის გლეხებმა, რომელთაც მტრობა ჰქონიათ თავ. წულუკიძესთან ადგილ-მამულების გამო.

⁂ „კავკასს" დეპეშით ატყობინებენ, რომ ეს რამდენიმე დღეა ტყეები იწვის შორაპნის მაზრაში. კვამლი ბორჯომიდგან თურმე სჩანს.

⁂ „ჩერნ. ვესტნ." სწერს, რომ ქუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილიდგან სამწუხარო ხმები ისმის სიმინდისა და პურის მოსავლის შესახებ. მრავალგან გვალვას სრულიად ამოუწვია სიმინდიო.

⁂ რადგანაც ამ ბოლო დროს ქუჩის ბიჭ-ბუჭები გამვლელ ქალებს ხშირად უშვერად და უკადრისად ეპყრობიან, ამის გამო ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელმა წინადადება მისცა სათანადო ბოქაულებს, გაჰგზავნონ ხოლმე იმ ადგილებში, სადა ხალხი მრავლად იყრის თავს, თავისუფალი პოლიციელნი წესიერების დასაცველადო.

⁂ იმავე პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა წინადადება მისცა ბოქაულებს სასტიკი ყურადღება მიაქციონ ტფილისში მათხოვრობის მოსპობას და იღონონ მხნე ღონისძიებანი.

⁂ ტფილისის მაზრის სოფ. საგარეჯოში ადგილობრივ მცხოვრებთ ძმებს შაქრო და ნიკოლოზ შაქარაშვილებს ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთს შორის, რომლის დროს შაქრომ კეტით თავი გაუტეხა ნიკოლოზს. დაჭრილის სიცოცხლე, მკურნალის შემოწმებით, განსაცდელშია თურმე.

წერილი რაჭიდგან

მთის რაჭველები ცუდმა ტაროსებმა შეაწუხა და ბარის პაპანაქება-სიცხემ. ნამეტანმა გვალვამ ისე ახრუკაფშუტა სამინდები ბარის რაჭაში, რომ ტარო არ ამოაღებინა და ეხლა მარტო ცარიელ ჩალას სჭრიან. კავკავიდგან გადმოტანილ სიმინდის ფასმაც შესამჩნევად აიწია. ამ ორი თვის წინათ რომ ფუთ სიმინდს ხან ათ შაურად და ხან სამ აბაზად ვყიდულობდით, დღეს მანათად ფასობს. ყოველ პარასკეობას დ. ონის ყაფანს ხალხი ჩიტის გუნდივით ესევა და ნასყიდი სიმინდი გააქვს სხვა და სხვა სოფელში. მადლობა ღმერთსა, რომ კავკავის ოსებს სიმინდის ზიდვა არ შეუწყვეტიათ, თორემ ისე თქვენი მტერი, როგორც წელს რაჭელებს სიმშილით კუჭ-მუცელი აგვეწოდა. გვალვამ არც ვენახებს დააყარა სიკეთე: ყურძენს ისე გაუხმო და გაუწვრილა მარცვალი, რომ არც მისგან ველით ხეირსა და სიკეთეს.

ჩვენი მაზრის უფროსის თავ. ჯანსუყ დადიშქელიანის ქუთაისში გადაყვანამ მეტად დაალონა რაჭველები. სადაც უნდა გაიაროთ, რომელ სოფელშიაც მიხვიდეთ, გლეხი და აზნაური, მღვდელი და ერი — ყველანი გულ დაწყვეტით შესჩივიან ერთმანეთსა: „უიჰ! ქვე მართლა გადეიყვანეს ჩვენი ნაჩალიკი? ვაჰ ჰე, ვაჰ! რა კაი კაცი იყო ი დამბანელ ცხონებული! ტკბილი, თავდაბალი, მადლიანი და სამართლიანი; ვინღა გვაღირსებს იმისთანა ნაჩალიკსაო" და სხ.

ყველას იმედი გვქონდა, რომ მთის რაჭაში ქვა-მადნების მუშაობა დაიწყებოდა, მაგრამ ჯერ ჯერობით ეს საქმე სალათას ძილს მიეცა. ხსენებულ მადნების პატრონთა ტკბილი ოცნება რომ ისინი მოკლე ხანში მილიონის პატრონები გახდებოდენ, ისევ გამოურკვეველ ოცნებად დარჩა.

ჩვენს საზაფხულო აგარაკს უწერას წელსაც ბლომად ეწვივნენ მოაგარაკენი. უმეტესი ნაწილი მოაგარაკეთა მეგრელები იყვნენ. ყოველ წოდების ხალხს სასულიერო წოდებისანი სჭარბობდნენ.

მ. რივნის თაველი

რუსეთი

— 28 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაიწყობს მოქმედებას განსაკუთრებული კომისია, რომელიც შესდგება შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედების სამინისტროების წარმომადგენელთაგან. კომისიამ საბოლოოდ უნდა შეიმუშაოს პროექტი ერობის დაწესებულებათა შემოღებისა იმ გუბერნიებში, სადაც ჯერ იგი არ არის შემოღებული. როგორც გაზეთი „Россія" იუწყება, კომისია მუშაობას ოქტომბერში დაამთავრებს. ასე რომ ეს პროექტი ამა წლის შემოდგომაზედვე წარედგინება განსახილველად სახელმწიფო საბჭოს.

— როგორც გაზეთი „Сынъ От."-ა იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზღვევის საქმეთა განყოფილებას აზრადა აქვს შეიტანოს სახელმწიფო საბჭოში ახლად შემუშავებული პროექტი ურთი-ერთ დაზღვევისა.

— ბეჭდითი საქმის მთავარმა სამმართველომ ნება დართო ს. ს. სუხოტინს გამოსცეს პეტერბურგში ახალი ისტორიული ჟურნალი ვრცელის პროგრამით. — ჟურნალს სახელად ეწოდება: „Вѣстникъ Всемірной исторіи". ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მწერლები და პროფესორები.

— სამის თვით შეჩერებული ჟურნალი „Русское Богатство", უკვე გამოვიდა. დაურიგდა ხელის მომწერლებს ამ ჟურნალის აგვისტოს ნომერი.

— მომავალის წლის იანვარში მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან მოწვეულ იქმნება სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განათლების მოღვაწეთა კრება. კრების თავმჯდომარედ დანიშნულია ინსტიტუტის დირექტორი კ. ა. რაჩინსკი. კრების დროს გამართული იქმნება სასწავლო ნივთების გამოფენა. ამას გარდა ინსტიტუტის პროფესორები წაიკითხავენ ლექციებს.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ზომები იქმნას მიღებული, რათა სახალხო მატარებლები სადგურებზედ დიდ ხანს არა ჩერდებოდნენ.

— ერთს რუსულს საზოგადოებას აზრადა აქვს გამართოს მუშათათვის განსაკუთრებული საწყობი წიგნებისა. ამ საწყობებში უმთავრესად მოთავსებული იქმნება სასულიერო და საზნეობო შინაარსის წიგნები. წიგნებს იაფ-ფასად გაჰყიდიან ქარხნებსა, ფაბრიკებსა და სხვაგან.

— ამ დღეებში, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ბეჭდის საქმეთა მთავარმა სამმართველომ წინადადება მისცა ყოველ-დღიურ გაზეთების რედაქტორ-გამომცემელთ შესწყვიტონ კვირაობით გაზეთების ბეჭდვა და დაასვენონ ასეთ დღეებში სტამბა-რედაქციების მომუშავენი. ამ წინადადებას ყველგან აღტაცებით მიეგებნენ სტამბის მუშები. განსაკუთრებით-კი პეტერბურგის სტამბის მუშებზედ უმოქმედნია ამ აზრს სასიამოვნოდ. ასოთ-ამწყობნი მეტად გახარებულან და მტკიცედ დარწმუნებულან, რომ ეს აზრი განხორციელდება თუ ახლავე არა, ახლო მომავალში მაინც. „პეტერ. ლისტ."-ის სიტყვით, ასოთ-ამწყობნი სამადლობელ ადრესებს უმზადებენ ამ საქმის მოთავეთ და გადაუწყვეტიათ, აღნიშნონ ეს ამბავი რაიმე კეთილის საქმით.

— ქარხნის ინსპექტორთა-მიერ ქარხნების დათვალიერების დროს, სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ ბევრს ქარხანაში მძიმედ ავადმყოფს მუშებს, სამკურნალო დახმარების აღმოჩენის ნაცვლად, სრულიად ითხოვენ სამუშაოდგან. ასეთი მოპყრობა მუშებთან ადვილად გამოიწვევს არა მარტო ავადმყოფთა ძლიერს ტანჯვა წვალებას, არამედ საზოგადოების ჯანმრთელობის დაზიანებასაც, რადგან ყოველს გადამდებ სენს, რომლის წინააღმდეგაც თავისს დროზედ არ მიუღიათ ზომები, შეუძლიან სხვებზედაც გავრცელდეს. ასეთის საფრთხის თავიდგან ასაშორებლად, ქარხნების პატრონთ წინადადება მიეცათ, „ნოვოსტის" სიტყვით, რომ მათ ნამდვილად და არა თვალების ასახვევად აღმოუჩინონ მუშებს სამკურნალო დახმარება.

უცხოეთი

საფრანგეთი. ჟულე-შანუანის ექსპედიციის მიერ ჩადენილი სისასტიკე შუა-გულ აფრიკის სოფლებში, როგორც გაზეთები ამბობენ, შანუანის ბრალი უფრო ყოფილა, ვიდრე ჟულესი. კაპიტანი ჟულე დიდი ენერგიის პატრონი კაცი

ერთი სარკეში ჩამახედა: უთუოდ საშინლად გაფითრებული ვიქნები, მიწიდგან ამოღებულს ვემგვანები... (პირზედ ხელებს მიიფარებს).

გამოსვლა მეშვიდე

ფროსიკო, ზურაბი, თეკლე, ათინა, გარსევანი, კვირიკა და ტასიკო.

კვირიკა. (ყველაზედ წინ მორბის, კარებს ფართოდ აღებს და ჰყვირის) მოგვყავს და-მოგვიხარიან! მობრძანდი, ჩემო გაზრდილო! (ზურაბს ხელგაურილი მოჰყვება თეკლე და ათინა, სხვები უკან მოჰყვებიან).

ათინა. (კვირიკას) სუ, შე ჩასაქვავებელო, ნუ ღრიალებ, ჭკუაზე არ შესცდე!

კვირიკა. მოგვყავს და მოგვიხარიან! დეე, გაიგოს და გაიხაროს ყველამ ჩემი ზურაბის მოსვლით! აწი მე ვიცი რასაც ვუზამ ჩემს მტრებს, ხე-ხე-ხე...

თეკლე. ზურაბ, გენაცვალე, აი შენი ფროსიკოც! (ზურაბი ხელზედ ჰკოცნის ფროსიკოს).

ათინა. პირზედ აკოცე, გენაცვალე, პირზედ...

თეკლე. აკოცე, გენაცვალე ფროსიკო. ნუ გრცხვენიან...

ზურაბი. (მხიარულად). არა. მე მეფისტოფელის რჩევისამებრ ვიქცევი, — კოცნა ნიშნობამდის არ შეიძლება... (დადის და ათვალიერებს ოთახს) რა ენას შეუძლია გამოთქვას ის გრძნობა, რომლითაც მე ეხლა გული მაქვს სავსე! გულს რომ ლაპარაკი შეეძლოს, თვით ქვასაც მოგვრიდა აღფრთოვანებას! დღეს დავბრუნდი უცხოეთიდგან... დიდის ხნის შემდეგ ისევ დავუბრუნდი ჩემს მშობლის კერას, დაგიბრუნდით თქვენ, სულის სწორნო, და მინდა თქვენთან ერთად გავატარო ჩემი ცხოვრება შრომასა და მხიარულებაში... გემით ვუახლოვდებოდი ჩემს ქვეყანას და როდესაც მისი სარკესავით მოწმენდილი ცა დავინახე, როდესაც დავინახე აყვავებული მდელო და მთები, ვერ დავატიე გულში მოზღვავებული გრძნობა, მივმართე ზღვის ტალღებს და აღფრთოვანებით გავიმეორე პოეტის მშვენიერი სიტყვები:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ
მკურნალად შემეყარეო!
ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო,
წინ მომეგებენ ღიმილით,
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.
გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუ ვყარეო, —
ია და ვარდი დამჭკნარი,
ხელ-ახლად გამიხარეო.
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო!
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო,
და რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ—
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!.."

თეკლე. გენაცვალოს დედა-შენი, რა ნაირად გიბრწყინავს თვალები, თითქოს ცეცხლს აფრქვევენო.

ათინა. ვენაცვალე ზურაბს, ყოველთვის ეშმაკი იყო: ბავშვობისას ძალიან უყვარდა ლექსების გამოთქმა. საუცხოვოდ იცოდა „ავთანდილ გადინადირა"...

კვირიკა. ზურაბს ზღაპრების გაგონება სულს ერჩია: სულ ყარამანის და ბაყბაყ-დევის ამბავს მელაპარაკებოდა.... მეც დავჯდებოდი და ველაპარაკებოდი ბაყბაყ-დევის ამბავს, ის კი სიცილით კვდებოდა ან შიშისაგან ცახცახებდა... ხე-ხე-ხე...

ზურაბი. მახსოვს, ჩემო კვირიკა, მახსოვს ცხრა-თავიან დევის ამბავი... შენ საუცხოვოდ იცოდი ზღაპრების მოყოლა...(მიაჩერდება კედლებს) ისევ ის ძველებური თოფ იარაღი და რუსის გენერლები..ყოველივე ეს ძველი დროის ნაანდერძევია...განსვენებულს მამაჩემს უყვარდა ომიანობის სურათები, თოფ-იარაღი, სისხლის ღვრა, რადგან მის ძარღვში კიდევ იდგა მეომარ მამა-პაპათა სისხლი... აწ კი მშვიდობით, სახელ-განთქმულო გენერლებო, თქვენს ადგილს დაიკავებენ დარვინი, პასტერი და მათნი მსგავსნი უიარაღო მეომარნი. თუმცა ეს მეომარნი უიარაღონი არიან, მაგრამ კაცობრიობის უბედურებისაგან დახსნისათვის თქვენზედ ნაკლებ არ უბრძოლიათ, თქვენზედ ნაკლები გულადობა და თავ-დადება არ გამოუჩენიათ...

თეკლე. ყველა გენერლები შენ გენაცვალოს, შვილო!

ათინა. გენერალიც ხარ და მეტიც, ჩემო ხვანთქარო!..

გარსევან. ერთი თქვენც მოჰყევით პირმოთნეობას! ჯერ ზურაბს კარგის „სალდათის" სახელიც არ დაუმსახურებია, არამც თუ გენერლის... (ზურაბს) კარგი კაცი მაშინ იქნები, ჩემო ზურაბ, როდესაც შენს კანონიერს მოვალეს დააკმაყოფილებ... შენ კარგად იცი, ვინც არის ეგ კანონიერი მოვალე... მთელი არე-მარე იმედის მომასწავებელის ღიმილით ეგებება შენს უცხოეთიდგან მშვიდობით დაბრუნებას; შენი ქვეყანა — ეს უსულო ქმნილება — თავს ვერ იკავებს ნამეტანი აღტაცების გამო და თამამად ხელს იწვდის შენსკენ, თითქოს გეუბნებაო: „აბა შვილო მომეცი რაც მოგიტანია ჩემთვის უცხოეთიდგან, მე შენგან ბევრს რასმეს მოველოდი!" (მიიყვანს ფანჯარასთან) ხომ ხედავ, ჩემო ზურაბ, ამ აუარებელს ხალხს, რომელიც შეკრებილა შენს ეზოში? (ზურაბის დანახვაზედ ასტყდება ხალხის ხრიალი) ხომ ჰხედავ ამ დატანჯულს სახეებს? ესენი არიან სხვა-და-სხვა სოფლიდგან მოსული ავად-მყოფები, რომელნიც შენგან მოელიან ეხლა განკურნებას... ვინ იცის, ჩემო ზურაბ; უმეცრებასთან ერთად რამდენი ავად

ყოფილა და შესამჩნევი მამაცი, მაგრამ ამასთანავე ერთობ უხასიათო. იმას არ შეეძლება წინააღმდეგობა გაეწია თავისი ამხანაგისა და მეგობრის შანუანისათვის, რომელიც მუდამ ცუდს რჩევას აძლევდა. კაპიტანი შანუანი გარეგნობით ქალური შეხედულობისა ყოფილა და ნერვებიანი კაცი, მაგრამ ძლიერ სასტიკი და შეუბრალებელი. მეორეს მხრით იმასაც ამბობენ, რომ ასეთი შეუბრალებლობა იშვიათი მოვლენა არ არის ევროპიელების მხრით ცხელს ქვეყნებში; მაგალითად: ბევრს იტალიის ოფიცრებსაც უსახელებია თურმე თავი თავისი მხეცური საქციელით მასოვაში; ასეთსავე საქციელს აბრალებდნენ რამდენსამე ნემეცს გერმანიის ახალშენებში აფრიკაში. სანამ მათი სასტიკი საქციელი გამოაშკარავდებოდა, ვულეს და შანუანისთვის მედლებიც გაუგზავნია საჩუქრად საფრანგეთის გეოგრაფიულს საზოგადოებას, ნიგერიდგან ჩადის ტბამდე გზის გამოჩენისათვის, ეხლა კი ისინი დაახვრიტებიან, თუ მოახერხა მთავრობამ იმათი დაჭერა. მაგრამ საქმე ის არის, რომ შეიძლება გაუჭირდეს მთავრობას მათი დამორჩილება, და როგორც ამბობენ, რადგან ვულე ბევრი სამაგალითო ღირსებით ყოფილა დაჯილდოებული ბუნებისაგან, ის საშიში კაცი გახდება საფრანგეთის პოლიტიკისთვის სუდანში.

გაზეთებში ვულეს წერილია დაბეჭდილი, რომელიც კლობბისათვის გაუგზავნია მას. ეს წერილი (თუ სხვისი შეთხზული არ არის იგი) ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორ გაუბრაზებია ის მთავრობის განკარგულებას—რომ ისა და შანუანი საფრანგეთში უნდა გაეგზავნა კლობბს. ეს რა ახალი სამარცხვინო ამბავი არისო?—სწერს ვულე—ჩვენში სურთ,—ჩვენი შრომის ნაყოფი ხელიდგან გამოგვტაცონ და სხვას აკუთვნონო?! ნება მოგვეცით განვაგრძოთ ჩვენი გზა! ვაი იმას, ვინც წინ გადაგვეღობება! ჩვენს განკარგულებაში 600 თოფია, რათა პატივისცემით გვეპყრობოდნენ ჩვენო.

— საფრანგეთის ზოგიერთს გაზეთებში კრაკოვიდგან გაგზავნილი წერილია დაბეჭდილი, რომლისაგანაც სჩანს, რომ ჟიულ გერენი, „შაბროლის მეციხოვნე“, კაი ხანია სახელ-განთქმული ყოფილა თავისი ყოფა-ქცევით. ამ რამდენიმე წლის წინად იმას ნავთის მუშაობა დაუწყია გალიციაში. პარიჟში „ჟიულ გერენის საზოგადოება“ შემდგარა, რომელსაც გალიჩანელ გრაფის სკრჟინსკისაგან ნავთის წყაროები უყიდნია 300,000 ფრანკათ ლიბუშში, და თითონ გერენიც ლიბუშში დამდგარა საცხოვრებლად მებატონის მამულში. ძვირფასი ავეჯი და ხალიჩები ნისიათ აუღია; ამის უარს არც არავინ ეუბნებოდა მას და სულ მოკლე ხნის განმავლობაში გერენის სახლი დიდებულ სასახლეს დამსგავსებია. ნავთის მუშაობა-კი სრულებით წინ არ მიდიოდა თურმე; ბურავოები ხალხის შესახედათ გამართეს ნავთიანს ადგილებზედ, მაგრამ საქმე ისევ გაჩერებული იყო. რაც დღე გადიოდა, გერენის მოვახშეები მოთმინებას ჰკარგავდნენ და თავიანთ ფულებს თხოულობდნენ. გერენი ერთ მშვენიერ დღეს გაპარულა იქიდგან და მასთან ერთად—ნისიად აღებული ნივთებიც. გერენის კრედიტორები ძლიერ აუშფოთებია ამ ამბავს. „ჟიულ გერენის საზოგადოების“ გამგეობას, რომელიც პარიჟში იმყოფებოდა, განუცხადებია მოვახშეებისათვის, რომ საანგარიშო დავთრები ყველა დაიკარგა და არაფრის გახდა არ შეგვიძლიანო. გერენის მოვახშეებს ეხლა სურათებიანს ჟურნალში უნახავთ „შაბროლის მეციხოვნე“ და დარწმუნებულან, რომ ესა და მათი მოვალე ერთი და იგივე კაცია.

—

სერბია. სამხედრო სასამართლომ ბელგრადში შეადგინა გამამტყუნებელი ოქმი კნეჟევიჩის წინააღმდეგ, რომელმაც მეფედ ნამყოფის მილანის მოკვლა განიზრახა. იმასთან ერთად სხვებსაც მრავალს სდებენ ბრალს, ალექსანდრე მეფისა და საზოგადოდ ობრენოვიჩთა დინასტიის წინააღმდეგ შეთქმულობა გქონდათო. ყველა დამნაშავეთა რიცხვი 45, რომელთაგან ზოგს აბრალებენ შეთქმულობაში მონაწილეობის მიღებას, ზოგს ღალატს და ზოგს—მეფის გვარეულობის ამა თუ იმ წევრის შეურაცხებას. თუმცა კნეჟევიჩის გარდა სხვა ბრალდებულთა ვინაობა ჯერ არ არის გამოცხადებული, მაგრამ დარწმუნებულნი არიან, რომ მის გვერდით საბრალდებლო სკამზედ იქმნებიან, სხვათა შორის, პოლკოვნიკი ნიკოლიჩი, რადიკალთა დასის მეთაური პაშიჩი და მღვდელი მილან ჟურიჩიო.

—

კრიტი. ინგლისის ჯარების მთავარსარდალს კრიტში—ჩარმსაიდს სრულებით დაუტოვებია ეს კუნძული და ინგლისში დაბრუნებულა. ინგლისის დარჩენილ რაზმის უფროსობა ერთის ოფიცრისთვის მიუნდვიათ.

ოსმალეთის მთავრობას მოუთხოვნია შემატყობინეთო, თუ რამდენი მაჰმადიანი აპირებს კრიტიდგან გადმოსახლებას, რათა საკმაო რიცხვი გემებისა გამოვგზავნოთ მათ წამოსაყვანადო.

—

ამერიკა. გაზეთებში დაბეჭდილია შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მაკ-კინლეის აზრი ფილიპინების შესახებ. პრეზიდენტი მოწადინებული ყოფილა, რომ ფილიპინელები ჩქარა იქმნან დამშვიდებული, რათა შესაძლებელი გახდეს კონგრესზე გარდაწყდეს მომავალი ბედ-იღბალი ხსენებულ კუნძულებისა. მაკ-კინლეი დარწმუნებული ყოფილა, რომ კონგრესი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ არხიპელაგი შტატებს შემოუერთდესო. ეს თუ ასე არ მოხდაო,—უთქვამს პრეზიდენტს,—სახელი გაუტყდება შეერთებულს შტატებს ევროპასა და აზიაშიო. მაკ-კინლეი ამას გარდა დარწმუნებულია თურმე, რომ ფილიპინების საქმეს დიდი კავშირი აქვს შეერთებულ შტატების საალებ-მიცემო საქმესთან ჩინეთსა და საზოგადოდ აღმოსავლეთს აზიაშიო.

◆

დამაკვირდა

იუდას გვრძად მიმაჩნია კაცი, რომელი მტერობს მშობლიურსა მამულსა თვისსა და მოწიწებით არ იხსენიებს მისთა უწმიდესთა და უსაღმთოესთა გარდამოცემათა და მისწრაფებათა.

ლასურიძე

* * *

ვსთესოთ უკვე, ძმანო, თესლი მოღუაწებისაჲ ცრემლით და ნაყოფი სათნოებისაჲ მოვიმკოთ გულს მოდგინებით.

გიორგი მთაწმინდელი

* * *

ვითარცა ვინ მროწეული (ბროწეული) შუენიერი და ფეროვანი მიიღის და პოვის დამპალი, ეგრეთვე სახედ გულის თქუმაჲ იხემებს სიტკბოებასა მიუთხრობელსა.

თეოდორე სტუდიელი

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბოსტონის ქალაქის სასანიტარო კომისიამ შემდეგი სავალდებულო დადგენილება გამოსცა: „რადგანაც კომისია მავნედ და მაზარალებლად სთვლის კაცის ფურთხს ჯანმრთელობისათვის და რადგანაც ამ ფურთხის შემწეობით ადვილად ვრცელდება სხვა-და-სხვა მავნე სენი, ამიტომ კომისია უკრძალავს ყველას გაფურთხებას საზოგადო დაწესებულებებში, როგორც მაგალითად: კლუბებსა, თეატრებსა, ვაგონებსა, ეტლებსა, ეკკლესიებსა, ბაზრებსა, ტროტუარებსა და სხვაგან. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, შესაფერი ჯარიმა გარდახდება“.

* * *

როგორც ვუწყით, ქალაქ რენნში, სადაც დრეიფუსის საქმე ირჩევა, ამ ჟამად აუარებელი ხალხია თავ-მოყრილი საფრანგეთის ყველა კუთხიდგან და სხვა ქვეყნებიდგანაც. შესანიშნავი არტისტი-ქალი სარა ბერნარი ამის გამო რამდენისამე წარმოდგენის გამართვას აპირებდა თურმე რენნში, მაგრამ ეხლა თავისი განზრახვა შეუცვლია და იქ წასვლაზე ხელი აუღია. საქმე იმაშია, რომ სარა ბერნარი დრეიფუსის დიდ მომხრედ არის ცნობილი, ამიტომ რენნში რომ წარმოდგენა გაემართა, დრეიფუსის მოწინააღმდეგენი იმასაც არ დაზოგავდნენ, სასაცილოდ აიგდებდნენ და შეარცხვენდნენ. აი ამ უსიამოვნებას დაერიდა გამოჩენილი არტისტი-ქალი და რენნში აღარ წავიდა.

* * *

ვეგეტარიანთა რიცხვი ევროპაში თანდათან მრავლდება. ვეგეტარიანები თავ-გამოდებით ქადაგებენ, რომ ყოველ-გვარი ავადმყოფობა ხორცის ჭამისაგან წარმოსდგებაო. კაცობრიობა რომ ხორცის ჭამაზე ხელს აიღებდეს, მრავალი ავადმყოფობა ჩაილულის წყალს დაჰლევს და სამუდამოდ გაჰქრებაო. საფრანგეთში ამას წინად დაარსდა ვეგეტარიანთა ახალი საზოგადოება. ამ საზოგადოებამ გამოსცა წიგნაკი, რომელშიაც აცხადებს, რომ სამარხვო საჭმელს დიდი მკურნალობა შეუძლიანო. ყურძენი, მაგალითად, კუს არჩენსო, ლიმონი—ნაღვლის ავადმყოფობას, სატაცური—გულის ავადმყოფობას, ბოლოკი—სურდოს, სალათა—სისხლს უმატებს კაცს და სხვაო. გველის ნაკბენის მოსარჩენადაც-კი აღმოუჩენიათ წამალი ვეგეტარიანებს; ეს წამალი ნიორი გახლავთ.

* * *

ქალაქ რიგაში პოლიციას შეუპყრია ვინმე მ—რი. ეს ვაჟბატონი, როგორც გამოძიებას აღმოუჩენია, ჯიბგირების მასწავლებელი ყოფილა თურმე. მ—რი თავისს სახლში თავს უყრიდა თურმე ბავშვებს, ასწავლიდა ჯიბგირობას და შემდეგ „სამუშაოდ“ უშვებდა. უმთავრესად ეს ახლად სწავლა-დამთავრებულნი „სამუშაოდ“ რკინის გზის სადგურებსა, თეატრებსა, მოედნებსა და სხვა იმ გვარ ადგილებში მიდიოდნენ ხოლმე, სადაც ჩვეულებრივ ბევრი ხალხი ირევა. პოლიციამ ჯერ ეს „მოსწავლენი“ შეიპყრო, მერე თვით მასწავლებელი. თავისს მოსწავლეებისაგან მ—რს ძალიან კარგი შემოსავალი ჰქონია თურმე.

* * *

ძველადგანვე შემჩნეულია, რომ ხშირად თხას რძე გაუქრება ხოლმე. უწინ ამის მიზეზად ერთგვარ ფრინველსა სთვლიდნენ და ამბობდნენ, რომ ეს ფრინველნი სწოვენ ხოლმე ღამე ძუძუს თხასაო. ძნელი ასახსნელია, ასეთი რწმენა რად გავრცელდა ხალხში. უთუოდ იმიტომ, რომ ეს ფრინველი დღე დამალულია და ღამე დაფრინავს. თხასაც რძე ღამე გაუქრება ხოლმე, ასე თუ ისე, დღემდის ეს აზრი იყო გავრცელებული ხალხში, მაგრამ დღეს, როგორც ექიმმა ლანდუამ დაამტკიცა, რძის გაქრობის მიზეზი ფრინველი-კი არა, კურდღელი ყოფილა. ამ ექიმმა ვესტფალის ერთს სამეცნიერო საზოგადოებაში მოხსენება წაიკითხა. მოხსენებაში ექიმი ამბობს, რომ ხშირად გაშინაურებულს კურდღლებს თხებთან ერთად ათავსებენო, და აი სწორედ ამ დროს კურდღელი თხის ძუძუსა სწოვსო. სხვათა შორის ერთს კაცსა ჰყოლია გაშინაურებული კურდღელი და თხა. როდესაც ორივეს ერთად ამწყვდევდა, მეორე დღეს თხა ერთ წვეთს რძესაც არ იწველიდა, როდესაც კურდღელს დააშორებდა, თხას ცური რძითა ჰქონდა ხოლმე სავსე. კურდღელი მინდორშიაც, თუ მოახელა სადმე, სწოვს თურმე ძუძუს თხასა.

◆

მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების წლიურ კრების ანგარიშის შესახებ.

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზ. „ივერიის“ მე-176 №-ში დაბეჭდილია მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების წევრთა კრების ანგარიში, რომელშიაც რამდენიმე შეცდომაა შეპარული. ამის გამო საჭიროდ მიმაჩნია

მყოფობა, რამდენი ჭირი სტანჯავს ამ ხალხს! შეჰხედე აი იმას, იმ ცოცხალ-მკვდარს გლეხს, შენსკენ რომ მოფორთხავს ხელებით... ის სრულიად დავრდომილი იყო, ეხლა კი შენს დანახვაზედ სიცოცხლის ნიშანი დასტყობია, თვალები იმედით უბრწყინავს და შენსკენ მოეშურება... ეს საბრალო გლეხი ჯერ სულ ახალგაზდაა; ერთის წლის წინეთ მაგისთანა ბეჯითი მუშა მთელს მის სოფელში არ იყო. ეხლა, როგორც ჰხედავ, დავრდომილია და მუშაობა არ შეუძლიან... მისი წვრილი ცოლშვილი სოფელ-სოფელ დადის და მათხოვრობით რჩება... ვინ იცის, ეგებ ეს უბედურება არ შემთხვეოდა ამ საცოდავს მუშას, რომ თავის დროზე ექიმს მიესწრო... შეჰხედე მეორეს: მაგისთანა მუშა მთელს სოფელში არ იყო და უცებ ჩამოხმა, გაყვითლდა, მუშაობა ვერ შეიძლო და დღეს სიმშილით კვდება; ამის მიზეზი ვერავინ შეიტყო... უმეცარს ხალხს რომ ჰკითხო,—თვალ-ნარავიაო!..

კვირიკა. არა, თვალ-ნაკრავი-კი არა, ხატის ბრალია... ეგ მე ნამდვილად ვიცი... სანამ ის ხატის ვალს არ გადიხდის, თვით ჯანაოზი ექიმიც ვერაფერს უშველის!...

გარსევან. ხომ გესმის, ზურაბ, კვირიკას მსჯელობა: ის ხალხის ნამდვილი წარმომადგენელია, იმ უმეცარი ხალხის, რომელიც ჰფიქრობს, დედა მიწა სამს გველეშაპზე სდგასო...

ტასიკო. თუ ამ გველეშაპებმა მოინდომეს, თურმე მზეს და მთვარესაც ჩაყლაპავენ!..

კვირიკა. „კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო!“ ჩაყლაპავენ, მაშ როგორ გეგონა შენ! ხე-ხე-ხე...

გარსევან. ჩემო ზურაბ, მარტო წამლით არ გაიკურნება ეგ დაჩაგრული ხალხი... მის ნატკენს გულს სჭირია ძმური უანგარო სიყვარულით სავსე სიტყვა განათლებულის კაცისა. ამ სიტყვამ ცხოველ-მყოფელი შუქი უნდა მოჰფინოს დიდის ხნით დახურულს, უმეცრებისაგან დაბეჩავებულს გულს; სწავლის იარაღით აღჭურვილი შენ მცველ ანგელოზად მოევლინები ტვირთ-მძიმე მუშას, რომელიც შენს დანახვაზე მსწრაფლ გაიმართება წელში და სასიკვდილოდ შეებმის იმას, ვინც ამდენს ხანს მხსნელად-მფარველად მიაჩნდა... მაშინ...

ფროსიკო. მე ჩამოგართმევ სიტყვას... მაშინ პოეტის სიტყვებისამებრ:

„დაბლად ღუღუნი დაღონებული,
მღერა, ვით კვნესა, საწყალის მეხრის,
შორის ხმა მწყემსის დაობლებული—
მხიარულ ხმებად გარდაიცვლების“.

ზურაბი. (ხელს მოჰკიდებს ფროსიკოს და გარსევანს) გმადლობთ, გულით გმადლობთ, ჩემო სულზედ უტკბესნო, რომ მაგნაირის სიტყვებით მეგებებით... თქვენი გულ-წრფელობა, თანაგრძნობა მამხნევებს, ფრთებს მასხამს... სამოთხის ნეტარებას ჰგრძნობს ჩემი გული, როდესაც თქვენს სიტყვებს ვისმენ... თქვენთან ერთად, ჩემო სულის სწორნო, შემაძლებინეთ მუშაობა ხალხის საკეთილდღეოდ, მის მწარე ცრემლის მოსაწმენდად... პატიოსანს სიტყვას ვსდებ ჩემი სინიდისისა და თქვენს წინაშე, რომ დღეიდგან მე ჩემს ცოდნას, ჩემს ზნეობრივს ძალას, ჩემს სიყვარულს ვსწირავ ჩემს იდეალს—უმეცრებით დატანჯულ ადამიანთა სამსახურს! თუ რომ შემიდრკეს გული საშინელს ბრძოლაში, დეე, თქვენმა ღრმა რწმენამ და ხალხის უანგარო სიყვარულმა გამამხნევოს!.. (მოისმის სიმღერა, რომელიც თან და თან უახლოვდება სცენას). ეს მშვენიერი სიმღერა ნეტავი სად არის?

გარსევან. ჩემი და ფროსიკოს სკოლის მოწაფეები გახლავთ... გაიხედა ფანჯარაში: ისინი აქეთ მოდიან... მე დავუბარე, რომ მოვიდნენ და უცხოეთიდგან მშვიდობით დაბრუნება მოგილოცონ...

ფროსიკო. როდესაც შენი მოსვლა გაიგეს, ძალიან გაეხარდათ ჩვენს მოწაფეებს: ჩვენს ექიმს გაუმარჯოს, გაუმარჯოსო,—ჰყვიროდნენ... ჰხედავ, ზურაბ, როგორ გავამშვენიერეთ ჩვენი სკოლა? წარწერა წაიკითხე: „პირველ—დაწყებითი სკოლა ქალთა და ვაჟთათვის“... ასზე მეტი მოწაფე გვყავს, რომელთაც მშვენიერად იციან წერა-კითხვა და გაცნობილი არიან ჩვენის მწერლების ნაწერებთან...

ზურაბი. ბარაქალა, ბარაქალა, ფროსიკო! თაყვანის ცემის ღირსი ხარ! (შემოდიან მოწაფეები სიმღერით).

გამოსვლა მერვე

იგინივე და მოწაფეები.

მოწაფეები. გაუმარჯოს, გაუმარჯოს ჩვენს ექიმს! მოგვილოცავს მშვიდობით დაბრუნება!..

ზურაბი. გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ ყმაწვილებო! ღმერთმა შემაძლებინოს თქვენი სამსახური, ჩემო საყვარელო მეგობრებო! კიდევ იმღერეთ, კიდევ!... დამატკბეთ მშობლიო ხმებით... (იმღერიან) ღმერთო მაღალო! ნუ მომაკლებ ამისთანა ბედნიერს წამებს ჩემს სიცოცხლეში!.. რაკი შთამინერგე გულში ნდომა კეთილისა, მომეც მხნეობა, ძალა ამ ნდომის განსახორციელებლად! ნუ გამიტაცოს განცხრომის სიტკბოებამ და მომკლას ისე, ვით შეშვენის სახელოვანს მებრძოლს! (ფანჯარაში ხმა მაღლა). ტანჯულნო, მზადა ვარ, მოვდივარ თქვენთან საშველად! (მიდის, ყველანი მიჰყვებიან; მოწაფეები სიმღერით გადიან სცენიდგან).

თეკლე. დედის ნუგეშო!

ათინა. ძიძის იმედო, დამტირებელო!

გარსევან. (თეკლეს და ათინას) სთქვით,—ქვეყნის იმედო, ქვეყნის ნუგეშო თქო!..

(ფარდა)

ილ. პონტელი

იმ ანგარიშის შესახებ ორიოდე სიტყვა ვთქვა.

პირველი შეცდომა ბ-ნ დამსწრესი ის არის, რომ კომისიის არჩევანი, რომელსაც უნდა შეედგინა ინსტრუქციები ნისიების გაცემის შესახებ, და რომელშიაც, სხვათა შორის, ი. შანშიევი და ი. მენთეშაშვილი იყვნენ ამორჩეულნი, მოხდა, შარშან-კი არა, წელს მარტში (რიცხვი არ მახსოვს) საგანგებო კრებაზე. ოქმი საგანგებო კრებისა მქონდა მე, როგორც დეპოს გამგეობის წევრს. ამ ოქმში დეპოს მრავალ საჭირ-ბოროტო კითხვების გარდა, სხვათა შორის, იყო მოხსენებული, რომ ნისიების საქმის განსაკარგებლად იქმნა ამორჩეული კომისია ამა და ამ პირთაგანო. მორჩა და გათავდა. ეს კარგად იცოდნენ კომისიის წევრებმა და თუ გული ერჩოდათ, საქმეს უნდა შესდგომოდნენ. მაგრამ მოხწია მეორე საზოგადო კრებამ და ისინი ამომრჩეველთა წინაშე ხელ-ცარიელნი წარსდგნენ. საზოგადოებამ მოსთხოვა მათ ინსტრუქცია ნისიების შესახებ. „ოქმი ხოსიტაშვილს ედო ჯიბეშიო“, უპასუხეს იმათ. მერე რა ერთობა აქვს ამ ოქმს იმ მათ მიერ შესადგენ ინსტრუქციასთან. ისა, რომ „მიზეზ მიზეზს დოს მარილი აკლიაო“. მე ვიყავ გამგეობის წევრი და არა პოლიცია, რომ მებრძანებინა იმათთვის, ინსტრუქცია შეადგინეთ-მეთქი. ხოლო რომ ის ოქმი გადმეცა იმათთვის, ამისი ნება არა მქონდა. იგი მე უნდა შემენახა როგორც გამგეობის წევრს. თიბათვეში ეს ოქმი გადავეცი ბ-ნს ფ. მახარაძეს სხვა ოქმებთან ჩასაკერებლად და ის ოქმი წარმოდგენილ იქმნა მის მიერვე აგვისტოს რვაში დეპოს საზოგადო წლიურ კრებაზედ. ასე რომ, მე-კი არა მდებია ის ოქმი ჯიბეში, როგორც გვაუწყებს ბ-ნი დამსწრე, არამედ ი. მენთეშაშვილს უტყუნია.

ამავე კრებაზე მე, დიახ მართალია, განვაცხადე, რომ წლიური ანგარიშის შედგენაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და ამიტომ ვერავითარ პასუხს ვერ მოგცემთ იმ კითხვებზე, რომელიც მაგ ანგარიშით აღიძვრება-მეთქი. მართალიც არის. არც მე და არც დანარჩენ ორ გამგეობის წევრს არ მიგვიღია მონაწილეობა წლიურ ანგარიშის შედგენაში, რადგანაც არ ვიყავით მიწვეულები. ხოლო ვინ შეადგინა ანგარიში და როგორ, არც ეს ვიცი. საზოგადოებას უნდა ეკითხა ჩემთვის როგორც გამგეობის წევრისათვის, რატომ არ ავასრულე ჩემი მოვალეობა, მაგრამ კრება სრულიად კმაყოფილი დარჩა ჩემ მიერ განცხადებულისა და განიხილა ანგარიში, რომელზედაც ოთხი გამგეობის წევრიდგან ერთის მეტს არ აწერა ხელი.

ერთის სიტყვით, კრებამ განიხილა ანგარიში, რომელიც მე, როგორც გამგეობის წევრმა, არ ვიცი ვისგან იყო შედგენილი და მგონი არც თითონ საზოგადოებამ იცოდა.

მაჩ. დეპ. გამგ. წევრი ი. ხოსიტაშვილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 აგვისტო.

რენნი. სხდომა დაიწყო 6 საათსა და 40 წუთს. გამოწვეულ იქმნა პოლ მეიერი, ინსტიტუტის წევრი. მან გაახსენა სასამართლოს, რომ მე ვიკვლევდი ამ საქმეს და ამ კვლევამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ბორდერო ესტერგაზის ხელით არის დაწერილიო.

„Ecole des chartes“ პროფესორი მოლინიე დაეთანხმა მეიერის დასკვნას. ამავე სასწავლებლის მეორე პროფესორმა, მირომ, განაცხადა, რომ ბორდეროს ნაწერი სრულიად ემსგავსება ესტერგაზის ხელს, ხოლო დრეიფუსის ხელთან გარეგანი მიმსგავსება აქვსო. მოწმემ აღნიშნა, რომ ესტერგაზისა და დრეიფუსის ხელი ჰგავს ერთმანეთს და კიდეც ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ბორდეროს დაწერა დრეიფუსს დაამიზეზეს, ხოლო თუ ორივე ხელი კარგად იქმნა გასინჯული, ეს გასინჯვა მრავალს განმასხვავებელს ნიშანს დაგვანახვებსო.

ინსტიტუტის წევრმა პიკომ სთქვა, რომ ამ წლის მაისის თვეში ლაპარაკი მქონდა ავსტრია-უნგრეთის სამხედრო წარმომადგენელთან. იგი გაოცებული იყო საფრანგეთის აფიცერთა თავ-გასულ ყოფა-ქცევით და დრეიფუსის უდანაშაულობას ამტკიცებდაო. იგი ბრალსა სდებდა ესტერგაზისაო, რომელიცაო, სთქვა მან, აგენტს ემსახურებოდა და ბორდერო იმას გაუგზავნაო. მხოლოდ ბორდეროს სამი საბუთის ქაღალდი შეესაბამებოდა სინამდვილეს. მეორე და მეოთხე საბუთის ქაღალდები მხოლოდ ადგილის შესავსებლად იყო მოწერილი. ბორდეროს პასუხად აგენტმა დეპეშა მისწერა, რომელიც შემდეგ „petit bleu“-ს სახელით იყო ცნობილი, მხოლოდ შემდეგ გადიფიქრა და ცეცხლში ჩააგდო იგიო.

როჟემ თავ-გამოდებული წინააღმდეგობა განაცხადა პიკოს იმ სიტყვების გამო, ვითომ საფრანგეთის აფიცერთა ყოფაქცევას იგი გაეოცებინოს. „და ან რა უნდა იფიქროს იმ უცხო სახელმწიფოს აფიცრის შესახებაო, შესძახა როჟემ,—რომელმაც „Figaro“-ში მრისხანე წერილი გაჰგზავნა, უარ-ჰყოფდა გენერალ მერსიეს სიტყვებს და შემდეგ კი იძულებულ იქმნა იმ წერილის ავტორად ეღიარებინა თვისი თავი, რომელსაც წინად უარ-ჰყოფდა, ჩემი ნაწარმოები არ არისო“. როჟემ შენიშნა, რომ ის ნალაპარაკევი, რომელსაც პიკო გადმოგვცემს, მაშინ იყო, როდესაც საკასაციო პალატის გამოძიების ამბავი უკვე ყველამ იცოდაო.

გენერალმა დელუამ განმარტა საარტილერიო მასალა. მისის აზრით, შეუძლებელი იყო, რომ რომელსამე ქვეითა ჯარის აფიცერს 189 (?) წელს სცოდნოდა რამე № 120 court ალაყისა, მაშინ ჯერ კიდეც დარიგებული არ იყო წესები ამ მე-120 №-ის court-ის შესახებ. რობენის მიერ მოგონილ მანქანის საიდუმლო მხოლოდ 1896 წელს გამოქვეყნდა. მთავარ-შტაბის აფიცერთ შეეძლოთ ეშოვნათ სროლის სახელმძღვანელო. დრეიფუსმა დელუას ჩვენების პასუხად სთქვა, № 120 court-ის ზარბაზნის არსებობა ლექციიდგან შევიტყე, რომელიც ბურჟემ წაიკითხა 1890 წელს გენერალ მერსიეს თანდასწრებით, ორჯელ ვნახე ეს ზარბაზანი, მხოლოდ ნასროლი-კი არასოდეს არ მინახავსო.

სასამართლომ დაადგინა ხვალინდელი სხდომა ხალხის დაუსწრებლად მოხდეს და ამ სხდომაზედ გასინჯულ იქმნას საბუთის ქაღალდები, რომელნიც მოითხოვეს დრეიფუსის ვექილებმა და რომელნიც შეკრებილია საარტილერიო განყოფილების მიერ. დელუამ საბუთის ქაღალდები წარადგინა. მაიორი გარტმანი და დიუკროკი სხდომას დაესწრებიან. სხდომა შეჩერებულ იქმნა 11 საათსა და 15 წუთს. ყველანი მშვიდობიანად დაიშალნენ.

პარიჟი. მარკიზ ვალკარლოსს, ისპანიის სამხედრო წარმომადგენლად ნამყოფს, განზრახვა აქვს საჩივარი შეიტანოს „Figaro“-ს წინააღმდეგ იმ წერილის გამო, რომელიც მარკიზს შეეხებოდა და რომელსაც დრეიფუსის საქმესთანაც კავშირი ჰქონდა.

კოპენჰაგენი. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე მოვიდა აქ ჯავშნიანის გემით „ადმირალ აპრაქსინი“. მისი უმაღლესობა ეწვევა აქაურს სამეფო სახლს, სადაც იმყოფება მისი მეუღლე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული შვილებითურთ.

პარიჟი. ტავერნიე გუშინ მთელის საათის განმავლობაში დიუ პატი-დე-კლამის ჩვენებას ისმენდა. „Matin“-ი ამბობს, რომ დიუ-პატის ჩვენებამ დიდად საყურადღებო ცნობები გამოააშკარავაო; ერთი ამ ცნობათაგანი იმდენად შესანიშნავია, რომ რენნის სასამართლოსათვის მიგვინდვია მისი გამოქვეყნებაო. ტავერნიე დღესაც კვლავ ჩვენებას ჩამოართმევს დიუ პატის.

დერულედმა წერილი გაუგზავნა ლუბეს და უკმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ მთავარ-სასამართლოს განზრახვად აქვს მიიხმოს ვითარცა დამნაშავე და მონაწილე როიალისტთა, შეთქმულობისაო, მაშინ, როდესაც მე ყოველთვის საპლებისციტო რესპუბლიკის მომხრე ვიყავიო. დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო დამნაშავედ აღმიარებს, მაინც ვთხოულობ, რომ ჩქარა მოხდეს ჩემი განსამართლებაო.

19 აგვისტო.

პეტერბურგი. შავი ჭირის წინააღმდეგ დაარსებული კომისია აცხადებს, რომ ნავთსადგური ინკოუ, რომელიც მონჟურიაშია, შავი ჭირის მხრით საეჭვო არისო.

პარიჟი. შაბროლის ქუჩაზედ ყველაფერი წინანდებურად არის. გერენმა რომელსაც შემოაკლდა რა წყალი, წვიმის დროს თაბახი დაუდგა წვიმის წყალს და ამ რიგად ცოტაოდენი წყალი იშოვა.

სამხედრო კომისარმა ტავერნიემ დღეს ჩვენება ჩამოართვა დიუ-პატი-დე-კლამს და ჩვენებისავე ჩამორთმევას განაგრძობს ხუთშაბათს.

კონსტანტინეპოლი. ჩერნოგორიის მთავარი და დედოფალი დღეს, ღამით, მოვიდნენ დარდანელში და მათ მიეგებნენ ხონთქრის მიერ გაგზავნილნი კაცები.

კონსტანტინეპოლი. მთავარი და დედოფალი მოვლენ ხვალ დილით და მათ მიეგებებიან მათ შესახვედრად გაგზავნილნი თურხან-ფაშა, გარეშე საქმეთა მინისტრი ტევფიკ-ფაშა და სხვა წარჩინებულნი.

პეტერბურგის ბირჟა, 17 აგვისტო

	მყიდველისა.		გამყიდველისა		გაყიდულისა	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
5% [illegible] მომგებიანი გ[illegible] აბის ფურცლები [illegible] სახელმწიფო [illegible] - აზნაურო ბანკისა	—	„	—	„	$206^3/_4$	
3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	—	„	—	„	$93^3/_4$	
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	—	„	—	„	—	„
5% იმავე ბანკისა.	99		—	„	—	„
5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა	99	„	—	„	—	„
4½% იმავე ბანკისა	—	„	95	„	—	„
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	—	„	100		—	„
4½% იმავე საზოგადოებისა. . .	—	„	96		—	„
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	—	„	—	„	296	
5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი	—	„	—	„	256	

წერილი რედაქციის მიმართ

როგორც შევიტყეთ, ვიღაც ორი სოფლის მაწანწალა დადის თურმე სოფელ-სოფელ და შემწეობას თხოულობს წყალწმინდის ობოლთა სასწავლებლის ვითომ დასახმარებლად. დაბა ლანჩხუთშიაც ყოფილან და ამბობენ თურმე, ჩვენ ვზრდით და ძლიერ გაგვიჭირდა ამ აუარებელის ხარჯის ატანაო, და სოფელიც აძლევს თურმე ფულს. ვთხოვ ყველა პოლიციის უფროსთ და მათ ხელქვეითებს ყრილობების დროს გამოუცხადონ ხალხს, რომ არავინ არ მოსტყუვდეს, დაიჭირონ ისინი და პასუხის გებაში მისცენ. ჩვენ ჯერ არ მივსულვართ იქამდე, რომ სოფელ-სოფელ დავიწყოთ სიარული თითო-ოროლა გროშის შესაკრებად და შევაწუხოთ ისედაც აუარებელის მათხოვრობით შეწუხებული ხალხი.

იოსებ ლეჟავა და სიმონ ქორიძე

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა თექვსმეტი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკან. (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 6 ვაკ. (8 და 9 წლის ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 56 ვაკანსიიდგან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ერთი საზოგადოების სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრით თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები. გარდა დამფუძნებლობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქმნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის, შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვი, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი შემოსვლისთანავე და ათი იანვარში,

9) თხოვნების შემოტან შეიძლება აგვისტოს 25-მდის ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской щколой на Лабораторной улицѣ въ д. Селикова.

10) აგვისტოს 26 და 27 რიცხვებში მოხდება ხელ-მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28—31 მისაღები ეგზამენები.

1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქნებიან მიღებული აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{99}/_{900}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს, როგორც ფულის თავისს დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც.

დაიბეჭდა ‡ იყიდება
„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი
ა. ს. პუშკინისა
ფასი 50 კაპ.

Дозволено цензурою. Тифлисъ 19 го Августа 1899 г. სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.